

გლობალური დათბობა და აგროეკოლოგიური პირობების შეფასება სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში

მაია მელაძე

ელ. ფოსტა: maia.meladze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, საქართველო საკმაოდ მოწყვლადია კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების მიმართ. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე არამდგრადი ეკოლოგიური მდგომარეობა და ექსტრემალური ბუნებრივი თუ სტიქიური მოვლენების გახშირება-გამძაფრება მოითხოვს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას. აღნიშნული ცვლილებების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადია აგრარული სექტორი, რადგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარება და პროდუქტიულობა პირდაპირ კავშირშია კლიმატურ ცვლილებებთან.

დასავლეთ საქართველოს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე. აქ ტენიანი სუბტროპიკული ტიპის კლიმატი ვრცელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღ.დონიდან 500-600 მ სიმაღლემდე. მთიანი - ზომიერი ტიპის კლიმატი 1400-1500 მ სიმაღლემდე, მაღალმთიანი - კონტინენტური ტიპის კლიმატი 2500 მ სიმაღლემდე.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე, დასტურდება გლობალური დათბობის გავლენა, სამეგრელო-ზემო სვანეთის ტენიან სუბტროპიკულ, მთიან და მაღალმთიან რეგიონზე. იგი აშკარად მოქმედებს აქტიურ ტემპერატურათა ჯამების მატებაზე, სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივებაზე, ატმოსფერული ნალექების ძირითადად შემცირებაზე. გლობალური დათბობის პირობებში გათვალისწინებული მომავლის (2020-2050 წწ.) სცენარი, ტემპერატურის 1°C-ით მატება საკვლევ რეგიონის ზონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს თუ გლობალური დათბობისას ტემპერატურა სცენარით გათვალისწინებულ ტემპერატურაზე მაღალი არ აღმოჩნდება (1-2°C). პირიქით, შეიძლება ხელსაყრელი იყოს ზღ.დონიდან სიმაღლეების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვის. სადაც, მომავლისათვის 1°C-ით მატებისას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება შესაძლებელი იქნება 100-200 მ-ით მაღლა, ამჟამად არსებულ საბაზისოსთან შედარებით.

გლობალური დათბობიდან გამომდინარე, აწმყოში და მომავლისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ პრევენციული-შემარბილებელი ღონისძიებები. კერძოდ, გავითვალისწინოთ ისეთი სელექტირებული კულტურების წარმოება, რომლებიც გამოირჩევიან შედარებით მაღალი ტემპერატურისადმი მდგრადობით და გვალვაგამძლეობით. ასევე, მნიშვნელოვანია წყლის ჩამონადენისა და ნიადაგიდან ინტენსიური აორთქლების შემცირებისათვის მთის და მაღალმთის დახრილ ფერდობებზე (>10°C) ტერასების შექმნა; ეფექტურია, ასევე ნიადაგის ზედაპირის კულტივაცია-გაფხვიერება.